

გვარი სახელი \_\_\_\_\_ პირადი N:

მცხოვრები \_\_\_\_\_  
(რაიონი) (ქალაქი / სოფელი) (ქუჩა) (სახლის/ბინის N)

საკონტაქტო ნომრები ☎ \_\_\_\_\_ ☎ \_\_\_\_\_

### გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გთხოვთ ჩამირთოთ WIFI ინტერნეტ სერვისით მომსახურება აღნიშნულ მისამართზე და გამიფორმოთ ხელშეკრულება, ხოლო ჩემს მიერ გადახდილი იქნება ერთჯერადად ჩართვის ღირებულება \_\_\_\_\_ ლარი და ასევე შესაბამისად ხელშეკრულებისა გადავიხდი ყოველთვიურად მომსახურების სააბონენტო გადასახადს.

განმცხადებელი \_\_\_\_\_ წელი  
(ხელმოწერა) (რიცხვი) (თვე)

### შესრულებული სამუშაოსა და WIFI ინტერნეტისათვის საჭირო მოწყობილობების

მიღება-ჩაბარების აქტი N:

შპს „იმერნეტი“-ის წარმომადგენელმა (ინსტალატორმა) \_\_\_\_\_  
(მიუთითეთ გარკვევით გვარი და სახელი) ანბის მიმართულება

და მოქალაქემ (აბონენტმა) \_\_\_\_\_ შევადგინეთ აქტი მასზედ, რომ  
(მიუთითეთ გარკვევით გვარი და სახელი)

ინსტალატორმა დაამონტაჟა განაცხადში მითითებულ მისამართზე WIFI ინტერნეტ სერვისი შემდეგი პარამეტრებით და ასევე აბონენტს გადაეცა ამ აქტში მითითებული მატერიალური ფასეულობა შემდეგი მასალა-მოწყობილობებით:

სერვისი		რაოდენობა	განზომილება	ღირებულება
ინტერნეტ სიჩქარე	მომსახურება		მბ/წმ-მდე	
მოწყობილობის დასახელება				
ქსელის კაბელი	მატ.ფასეულობა		მეტრი	
ანტენა	მატ.ფასეულობა		ცალი	
			<b>სულ მატ. ფასეულობა</b>	

აბონენტს ჩაუტარდა ინსტრუქტაჟი და გადაეცა გამართულ და მუშა მდგომარეობაში არსებული აქტში ჩამოთვლილი მატერიალური ფასეულობები დროებითი სარგებლობისათვის მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და ვადებით. სერვისის მიწოდების დაწყების თარიღი მითითებულია აქტში. შესრულებული სამუშაოსა და მოწყობილობის მიღება-ჩაბარების აქტს მხარეები ვადასტურებთ ხელის მოწერით.

ინსტალატორი /-----/  
(ხელმოწერა) აბონენტი /-----/  
(ხელმოწერა)

----- წელი  
(რიცხვი) (თვე)



ხელშეკრულება N:

□ □ □ □ □ □

**WIFI ინტერნეტის მიწოდების მომსახურეობაზე**

ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ: ერთის მხრივ, შპს „იმერნეტი“ დირექტორის მამუკა წიწილაშვილის სახით, შემდგომში „ოპერატორი“ და მეორეს მხრივ ..... სახით, შემდგომში „აბონენტი“. და შემდგომში ორივე ერთად „მხარეები“, რომელთა რეკვიზიტები ამ ხელშეკრულების ბოლო ნაწილშია წარმოდგენილი.

**ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტება**

**მოწყობილობები** - ოპერატორის საკუთრებაში მყოფი მომსახურეობისათვის საჭირო აპარატურა და მასალები, რომელიც აბონენტს გადაეცემა დროებით სარგებლობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

**ინსტალატორი** - ოპერატორის წარმომადგენელი მხარე, რომელიც ასრულებს აბონენტთან პირველად სამონტაჟო ან შემდგომ ხელშეკრულების ვადებში დამატებით სამუშაოებს და მოწყობილობების მუშაობისათვის საჭირო ინსტრუქტაჟის ჩატარებას.

**1. ხელშეკრულების საგანი**

1.1 ოპერატორი აბონენტის მიერ განაცხადის გაკეთებისა და ასევე ერთჯერადი ჩართვის ღირებულების გადახდის შემდეგ, 20 სამუშაო დღის განმავლობაში განაცხადში მითითებულ მისამართზე ამონტაჟებს მოწყობილობებს, რომლის შემდგომ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით უწევს აბონენტს 24 საათიან WIFI ინტერნეტის მომსახურეობის მიწოდებას.

1.2 აბონენტი გაწეული მომსახურეობისათვის ოპერატორს უხდის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საფასურს.

1.3 მხარეები თანხმდებიან რომ მომსახურეობის ტარიფებმა შესაძლოა მომავალში შეიძლება განიცადოს ცვლილება, რომლის შესახებ სრული ინფორმაცია 1 თვით ადრე ოპერატორის ოფიციალურ ვებ გვერდზე განათავსდება.

**2. მხარეთა შეთანხმებები მომსახურეობისათვის გამოყენებულ მოწყობილობებზე**

2.1 ოპერატორი ერთ კომპიუტერზე ამონტაჟებს აბონენტთან WIFI ინტერნეტის მიღებისა და შემდგომი მომსახურეობისათვის საჭირო მოწყობილობებს, რომელიც აბონენტს გადაეცემა დროებითი სარგებლობისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში. აბონენტის მხრიდან სურვილის შემთხვევაში დამატებითი კომპიუტერ(ებ)ის მონტაჟის პირობები განისაზღვრება დამატებითი შეთანხმებით (თუ ასეთი არსებობს), და ითვლება ძირითადი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

2.2 მოწყობილობათა რაოდენობრივი და ღირებულებითი ჩამონათვალი მოყვანილია შესრულებული სამუშაოსა და მონტაჟის მიღება-ჩაბარების აქტში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.3 მიღება ჩაბარების აქტზე ხელის მოწერით მხარეები ადასტურებენ, რომ აბონენტმა ინსტალატორისაგან ჩაიბარა დამონტაჟებულ და გამართულ მდგომარეობაში მყოფი მომსახურეობისათვის საჭირო მოწყობილობები და ასევე მიიღო მათი მუშაობისათვის საჭირო პირველადი ინსტრუქტაჟი, რომელიც აუცილებელია მოწყობილობების სწორი ექსპლოატაციისათვის.

2.4 მხარეები თანხმდებიან, რომ მოწყობილობებზე ვრცელდება საგარანტიო ვადა 3 თვის ვადით. ამ ვადის განმავლობაში ოპერატორი ვალდებულია უსასყიდოდ შეაკეთოს ან გამოცვალოს მოწყობილობა თუ ის გამოწვეულია ქარხნული წუნით, ხოლო სხვა შემთხვევაში თუ: ა) მოწყობილობებს აღენიშნებათ ვიზუალურად მექანიკური დაზიანებები. ბ) მათი დაზიანება გამოწვეულია არაშეუსაბამო გარემო პირობებით ან არასტაბილური ელექტრო ქსელით მოწყობილობების ექსპლოატაციით. დ) გასულია საგარანტიო ვადა, ასეთის არსებობის შემთხვევაში მოწყობილობების შეკეთება ან გამოცვლა მოხდება აბონენტის ხარჯებით, ოპერატორის მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად,

2.5 მხარეები თანხმდებიან რომ ხელშეკრულების ნებისმიერი ფორმით შეწყვეტის შემთხვევაში აბონენტი უბრუნებს ოპერატორს მუშა მდგომარეობაში მყოფ მოწყობილობებს, წინააღმდეგ შემთხვევაში სრულად აუნაზღაურებს ოპერატორს მიღება-ჩაბარების აქტით გათვალისწინებულ თანხას.

**3. მომსახურების საფასური და გადახდის პირობები**

3.1 მომსახურების გადასახადი დაფუძნებულია გადახდის საავანსო პრინციპზე, რაც გულისხმობს „აბონენტის“ მიერ მომსახურების ღირებულების წინასწარ მინიმუმ ერთი თვის გადახდას, რომელიც აისახება ოპერატორის საბილინგო (აღრიცხვის) სისტემაში აბონენტისათვის განსაზღვრულ ანგარიშზე, ხოლო ანგარიშის ნომერი განსაზღვრება ხელშეკრულების ნომრით.

3.2 სააბონენტო ტარიფი განისაზღვრება პაკეტის მიხედვით, რომელსაც აბონენტი უთითებს დადგმის განაცხადში და იგი შეადგენს \_\_\_\_\_ ლარს. ტარიფის შემდეგი ცვლილება რეგულირდება აბონენტის მიერ გაკეთებული განაცხადით.

3.3 დამატებითი გადასახადი იანგარიშება სპეციალურ აქტში აბონენტთან ინსტალატორის გამოძახებით. სპეციალური აქტი იქმნება დამატებით შესრულებული სამუშაოს გათვალისწინებით აბონენტისა და ინსტალატორის ხელმოწერების საფუძველზე. დამატებითი შესრულებული სამუშაოების ტარიფი ნაჩვენებია იქნება სპეციალურ აქტში, და ასევე ოპერატორის ვებ გვერდზე.

3.4 აბონენტის გათიშვის თარიღია ბოლო სრული სააბონენტო ტარიფის გადახდის თარიღიდან გასული შემდეგი ერთი თვის თარიღი, აბონენტს მომსახურეობა შეუჩერდება თუ გათიშვის თარიღისათვის მის ანგარიშზე იქნება სააბონენტო ტარიფზე ნაკლები თანხა. ხოლო ყოველი გათიშვის შემთხვევაში მოსალოდნელია გათიშვის თარიღის ცვლილება.

3.5 აბონენტს არ ერიცხება იმ პერიოდის ღირებულება, რომელიც მას შეჩერებული ქონდა გადაუხდელობის გამო. ხოლო სრული ყოველთვიური გადასახადის გადახდის შემდეგ მას ინტერნეტ სერვისი მიეწოდება 30 დღის განმავლობაში. გადახდის შემდეგ ინტერნეტ სერვისის ჩართვის დრო და ვადები მითითებულია ამ ხელშეკრულების 3.7 პუნქტში.

3.6 აბონენტის მიერ ერთზე მეტი სრული ან არასრული თვის წინსწრებით გადახდილი თანხა ასევე აისახება მის საბილინგო ანგარიშზე და ჩაეთვლება შესაბამისად შემდგომი პერიოდის მომსახურეობის ანაზღაურებაში.

3.7 მომსახურების საფასურის ანაზღაურებას აბონენტი ახდენს სააბონენტო ნომრის იდენტიფიცირებით, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების ნომერს. გადახდა შესაძლებელია შემდეგი საშუალებებით:

ა) სწრაფი გადახდის აპარატზე, პუნქტ "ინტერნეტ გადასახადებ"-ში „PAY\_NET“ საგადახდო სისტემით. გათიშვის შემთხვევაში სერვისის მიწოდება აღდგება გადახდიდან 1 საათის განმავლობაში.

ბ) ხელშეკრულებაში მითითებულ ოპერატორის საბანკო რეკვიზიტზე ჩარიცხვით, რომლის დროსაც აბონენტი ვალდებულია მიუთითოს შემდეგი მიმდევრობის ინფორმაცია: სააბონენტო ნომერი, აბონენტის გვარი და სახელი. გათიშვის შემთხვევაში სერვისის მიწოდება აღდგება გადახდიდან შემდეგი სამუშაო დღის განმავლობაში.

#### 4. მხარეთა ვალდებულებები

##### 4.1 აბონენტი ვალდებულია

4.1.1 შესრულოს ოპერატორის მიერ მოწოდებული მომსახურებისათვის ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული სრული და დროული ფულადი ანგარიშსწორება.

4.1.2 შეატყობინოს პუნქტი 8.3 -ში მითითებული საკონტაქტო ინფორმაციის საშუალებით ოპერატორს მომსახურების ნებისმიერი ფორმით შეფერხების შესახებ და უზრუნველყოს ამ და სხვა შემთხვევებში მხოლოდ ოპერატორის უფლებამოსილი პირის/ინსტალატორის დაშვება მოწყობილობებზე, მონტაჟის/დემონტაჟის ან სხვა პროფილაქტიკური სამუშაოს ჩატარებისათვის, შექმნას აღნიშნულთან დაკავშირებით ნორმალური პირობები.

4.1.3 საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს კომპიუტერის პროგრამული და ტექნიკური მხარეების სრული გამართული ფუნქციონირება, წინააღმდეგ შემთხვევაში ოპერატორი იხსნის პასუხისმგებლობას ინტერნეტის შეფერხებით მომსახურებაზე.

##### 4.2 ოპერატორი ვალდებულია

4.2.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადებში უზრუნველყოს აბონენტისათვის ხარისხიანი მომსახურების მიწოდება შესაბამისად ტექნიკური შესაძლებლობების ფარგლებში.

4.2.2 აბონენტის შეტყობინების საფუძველზე უმოკლეს ვადაში ან არაუგვიანეს 48 საათის განმავლობაში აღადგინოს მომსახურების ნორმალური მიწოდება.

4.2.3 მოახდინოს გარკვეული პერიოდის სააბონენტო გადასახადის გადაანგარიშება აბონენტის სასარგებლოდ თუ აბონენტს არ მიეწოდება მომსახურება ოპერატორის მიზეზით შეტყობინებიდან 48 საათის შემდეგ.

4.2.4 ოპერატორი ვალდებულია მომსახურებასთან დაკავშირებით ოფიციალურ ვებ გვერდზე განათავსოს აბონენტებისათვის საჭირო შემდეგი ინფორმაცია: ყოველთვიური და დამატებითი მომსახურების სატარიფო გეგმა; მომსახურებასთან დაკავშირებით ტექნიკური ხასიათის დამხმარე ინფორმაცია; ოპერატორის საკონტაქტო ინფორმაცია და რეკვიზიტები.

4.3 მხარეები თანხმდებიან რომ ხელშეკრულების შეწყვეტა გავლენას არ ახდენს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მხარეთა შორის წარმოშობილ ფინანსურ ან სხვა სახის ვალდებულებებზე, რომელიც საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

#### 5. ფორს მაჟორული სიტუაციები

5.1 მხარეები პასუხს არ აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის იმ შემთხვევაში, თუ ეს დაკავშირებულია სახელმწიფო ორგანოების ქმედებებზე, როგორცაა ცვლილებები კანონმდებლობაში ან საგანგებო მდგომარეობები, ასევე სხვა დაუძლეველი ბუნებრივი ძალების ზემოქმედებებზე.

#### 6. დავების გადაწყვეტა

6.1 მხარეები შეეცდებიან, რომ მათ შორის წამოჭრილი ყოველგვარი უთანხმოებები გადაწყვიტონ ურთიერთშეთანხმების გზით.

6.2 წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეებს აქვთ უფლება მიმართონ შესაბამის სასამართლო ორგანოებს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

#### 7. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

7.1 ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს უვადოდ.

7.2 რომელიმე მხარის ერთი თვით ადრე გაკეთებული წერილობით განაცხადამდე ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.

7.3 აბონენტის მხრიდან ხელშეკრულების პუნქტის 3.6 შეუსრულებლობაზე ანგარიშსწორებასთან დაკავშირებით.

#### 8. მხარეთა რეკვიზიტები

8.1 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

8.2 მხარეები ვალდებული არიან მათი რეკვიზიტების ნებისმიერი ფორმით ცვლილების შემთხვევაში ერთმანეთს აცნობონ წერილობითი ფორმით. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეკრულების ფარგლებში რეკვიზიტების ცვლილებით გამოწვეულ ნებისმიერ უარყოფით შედეგზე პასუხისმგებლობას იღებს შესაბამისი ინფორმაციის არ მიმწოდები მხარე.

8.3 მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები.

<p>ოპერატორი შპს "იმერტნეტი"          მისამართი: ქ. ზესტაფონი, ფიროსმანის ქ. N:20          სიდენტიფიკაციო კოდი: <b>430024911</b>          საბანკო რეკვიზიტი: ს/ს „თიბისი“ ბანკი          კოდი:<b>TBCBGE22</b> ანგ№ <b>GE13TB7941536070100003</b></p> <p>☎ <b>555 128777</b> - ტექნიკური სამსახური</p> <p>☎ <b>0492 250600</b> - ანგარიშსწორების სამსახური</p> <p>ვებგვერდი <b>imerneti.ge</b> ელ-ფოსტა <b>info@imerneti.ge</b></p> <p>დირექტორი          ბ.ა. _____          მამუკა წიწილაშვილი          _____          (ხელმოწერა)</p>	<p>აბონენტი _____          (გვარი სახელი გარკვევით)</p> <p>პირადიN:  <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/></p> <p>მისამართი პირადობის მიხედვით          _____          _____          _____          (ხელმოწერა)</p>
---	--